ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 300

"15" აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე(საკადასტრო კოდით №72.16.15.314) ინდივიდუალური, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების და განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის (სზ–2) შესაბამისი ობიექტების კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაცემულ 2007 წლის 28 დეკემბრის №13557 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 11 მაისის №19 და 22 ივნისის №25 ოქმების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 07 ივლისის №04/7837 წერილის (AR1488094) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე(საკადასტრო კოდით №72.16.15.314) ინდივიდუალური, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების და განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის (სზ–2) შესაბამისი ობიექტების კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაცემულ 2007 წლის 28 დეკემბრის №13557 ქალაქთმშენებლობით პირობებში. საპროექტო არეალში დაფიქსირდეს შემდეგი საკადასტრო ერთეულები: №72.16.22.193, №72.16.22.246, №72.16.15.770, №72.16.15.762, №72.16.15.763, №72.16.15.764, №72.16.22.245, №72.16.15.765, №72.16.15.766, №72.16.15.767, №72.16.15.768, №72.16.15.769, №72.16.22.247, №72.16.22.287, №72.16.22.288 და საპროექტო ობიექტად ნაცვლად ინდივიდუალური, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების და განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის

(სზ–2) შესაბამისი ობიექტების კომპლექსისა დაფიქსირდეს თაუნჰაუზის ტიპის საცხოვრებელი სახლები და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი